20
სექტემბერი

ხუთშაბათი,
1962 წ.
№ 186 (2035)
გამოცემის მე-19 წელი
ფასი 3 კაპ.

ყაიმი 53-ე სვლაზე

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.) გუშინ ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შედგა ქალთა შორის მსოფლიო პირველობაზე ე. ბიკოვა-ნ. გაფრინდაშვილის მატჩის გადადებული პირველი პარტიის დამთავრება.

როგორც ვიუწყებოდით, პარტია შეწყვეტილი იყო 42-ე სვლაზე ისეთ მდგომარეობაში, სადაც ქართველი ოსტატი ინარჩუნებდა პოზიციურ უპირატესობას, მაგრამ პარტიის განახლებისას ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვების მოსაპოვებლად. მსოფლიო ჩემპიონმა ზუსტი სვლებით უვნებელყო მოწინააღმდეგის ყველა ცდა. პარტია ერთ საათს გრძელდებოდა და 53-ე სვლაზე ერთი და იგივე პოზიციის სამჯერ გამეორების გამო მსაჯთა კოლეგიამ პარტია ცნო ყაიმად.

დღეს გაიმართება მეორე პარტია. თეთრებით თამაშობს ნ. გაფრინდაშვილი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ქვემსუბუქ წონაში ვ. რუბაშვილი სპორტულ სამყაროში ცნობილია, როგორც უაღრესად ტექნიკური და აგრესიული სტილის მოჭიდავე. იგი ამ ძვირფას თვისებებს კარგად უთავსებს ფიზიკურ ძალასა და გამბედაობას. სწორედ ამიტომ წლების მანძილზე იგი იღებს პრიზს, როგორც საუკეთესო მოჭიდავე.

1962 წლის ჩემპიონატში ვ. რუბაშვილმა მეორედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი და როგორც გასულ წელს, მას ამჯერადაც გადაეცა სპეციალური პრიზი საუკეთესო ტექნიკისათვის. იგი ყაზახეთის წარმომადგენელთან, გაბსატაროვთან (1962 წლის ჩემპიონი უმჩატეს წონაში) ერთად აღიარებულ იქნა საკავშირო ჩემპიონატის საუკეთესო მოჭიდავედ.

• • •

სურათზე თქვენ ხედავთ, თუ როგორი სიმსუბუქით და გამბედაობით ატარებს ვ. რუბაშვილი ილეთს.

ფოტო ა. შმიდტისა.

სპორტულ საზოგადოებებში

„კოლმეურნე“

ამ დღეებში გორში დამთავრდა „კოლმეურნის“ უძლიერეს ველოსიპედისტთა რესპუბლიკური შეჯიბრება.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ვაჟთა რბოლა 25 კილომეტრზე დაყოფილი სტარტით. როგორც ცნობილია, ასეთი სახის რბოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენის ფიზიკურ მომზადებას, რადგან იგი მარტო, თანაგუნდელების დახმარების გარეშე ებრძვის წამებს. სხვებზე უკეთ გაიარა დისტანცია ვ. კეხბამ (სამგორი) — 35.40. მეორე ადგილი დაიკავა სოხუმის წარმომადგენელმა ა. გუძმა — 36.10. მესამე ადგილი წილად ხვდა სამგორის წარმომადგენელს ნ. ტრეტიაკოვს. უნდა აღინიშნოს, რომ სამივე შედეგი აღემატება სპორტის ოსტატის ნორმატივს.

გუნდური რბოლის (50 კილომეტრზე) წინ ამინდი მკვეთრად გაუარესდა. პირქარმა და წვიმამ ხელი შეუშალა სპორტსმენებს მაღალი შედეგების ჩვენებაში. პირველი ადგილი დაიკავა სოხუმის ველოსიპედისტთა კოლექტივმა, რომელმაც დისტანციის გავლას მოანდომა 1:22.00. მეორე ადგილზე გამოვიდა სამგორის გუნდი, ხოლო მესამეზე — ზუგდიდის კოლექტივი.

როგორც მოსალოდნელი იყო, 75-კილომეტრიან დისტანციაზე საერთო სტარტით წარმატებას მიაღწია გამოცდილმა სოხუმელმა ოსტატმა რ. გუძმა — 1:46.10. მომდევნო ადგილები დაისაკუთრეს ნ. გიორგიადიმ (სოხუმი) და ნ. ტრეტიაკოვმა (სამგორი).

დიდი უპირატესობით დაამთავრა 20-კილომეტრიანი დისტანცია ქალთა შეჯიბრებაში ე. კრავჩენკომ (სოხუმი) — 37.00. მეორე ადგილი მისმა თანაგუნდელმა ვ. გვოზდიკოვამ დაიკავა — 37.15. მესამე ადგილზე დარჩა ქობულეთელი მ. ნილოვა — 38.00. გუნდურ რბოლაში 25 კილომეტრზე გაიმარჯვეს სოხუმელმა ველოსიპედისტებმა — 44.15.

ქალთა საერთო სტარტი (დისტანცია 25 კმ) მოიგო სოხუმის გუნდის წევრმა ტ. ლევსკაიამ — 45.20. მომდევნო ადგილებზე არიან მ. ნილოვა (ქობულეთი) და ე. კრავჩენკო (სოხუმი).

„კოლმეურნის“ ველოსიპედისტთა რესპუბლიკურ ტურნირში სულ 10 კოლექტივი მონაწილეობდა. 10 გუნდში უძლიერესი გამოდგა ქობულეთის „კოლმეურნის“ რაიონული საბჭო. მეორე ადგილი დაისაკუთრა ზუგდიდის ველოსიპედისტთა კოლექტივმა, ხოლო მესამე — სამგორის გუნდმა.

შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწიეს სამტრედიელმა ველოსიპედისტებმა. მათ გუნდურ ჩათვლაში დაიკავეს მეოთხე ადგილი. ეს ახალგაზრდა, მზარდი კოლექტივის უდაო წარმატებაა.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ დაკომპლექტდა „კოლმეურნის“ ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სოფლის ახალგაზრდობის საკავშირო შეჯიბრებაში.

ა. ვასილაძე

XV ტრადიციული

ვარნაში შედგა XV საჭადრაკო ოლიმპიადის მეორე ტურის გადადებული პარტიების დამთავრება. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირისა და შვეციის მოჭადრაკეთა გუნდების შეხვედრაში დაუმთავრებელი იყო ორი პარტია — ბოტვინიკ-იუჰანსონისა და ტალ-სოდერბორგისა. თამაშის განახლების შემდეგ მოწინააღმდეგეებმა გააკეთეს რამდენიმე სვლა და ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, საბჭოთა კავშირისა და შვეციის გუნდების შეხვედრის ანგარიშია 3:1 ჩვენი მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

მესამე ტურში ჩვენი ქვეყნის ნაკრები შეხვდა თურქეთის გუნდს. შეხვედრა კვლავ საბჭოთა მოჭადრაკეების გამარჯვებით დამთავრდა — 4:0. ჩვენს გუნდში თამაშობდნენ პეტროსიანი, სპასკი, კერესი და გელერი.

ამ ტურში ყურადღების ცენტრში იყო ბულგარეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეთა შეხვედრა, იგი ჯერ არ დამთავრებულა. წინ არიან ამერიკელი სპორტსმენები — 2:1.

საბჭოთა კავშირის ნაკრები IV ტურში ხვდება გფრ-ს გუნდს.

ორი ეტაპის შემდეგ

გარმიშ-პარტენკირხენში დაიწყო მოტოციკლისტთა ექვსდღიანი საერთაშორისო შეჯიბრება. მონაწილეობდნენ დიდი ბრიტანეთის, ფინეთის, ინგლისის, ჩეხოსლოვაკიის, საბჭოთა კავშირის, გერმანიის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

ორი ეტაპის შემდეგ მთავარი პრიზისათვის მებრძოლ გუნდებს შორის ლიდერობენ დიდი ბრიტანეთის მოტოციკლისტები. საბჭოთა კავშირის ნაკრები VII ადგილზეა.

„ოქროს“ ქუდები

მდგომარეობა 20 სექტემბრისათვის

I-XII ადგილები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	10	5	4	1	18—13	14
ც ს კ ა	9	5	3	1	13—5	13
„დინამო“ (თბილისი)	10	4	5	1	14—7	13
„დინამო“ (მოსკოვი)	10	4	5	1	14—9	13
„შახტიორი“ (დონეცკი)	9	3	3	3	12—12	9
ს კ ა (როსტოვი)	10	1	7	2	14—16	9
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	10	2	5	3	12—16	9
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	9	3	2	4	13—14	8
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	10	1	6	3	8—16	8
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	10	2	3	5	11—16	7
„ტორპედო“ (მოსკოვი)	9	1	5	3	11—10	7
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	10	1	4	5	10—16	6

XIII-XXII ადგილები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	8	4	4	0	10—5	12
„დინამო“ (ლენინგრადი)	8	2	5	1	8—6	9
„ტორპედო“ (ქუთაისი)	8	3	3	2	11—10	9
„ავანგარდი“ (ხარკოვი)	8	4	1	3	6—8	9
„დაუგავა“ (რიგა)	7	3	2	2	8—5	8
„ბელარუსი“ (მინსკი)	8	2	4	2	7—6	8
„სპარტაკი“ (ერევანი)	8	2	3	3	9—11	7
„ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	7	1	4	2	6—7	6
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	8	2	1	5	10—13	5
„კაირატი“ (ალმა-ატა)	8	0	5	3	4—9	5



ვლ. კაპლუნოვი — მსოფლიო ჩემპიონი

ბუდაპეშტში მსოფლიო პირველობაზე ძალოსნობაში მსუბუქი წონის სპორტსმენთა შეჯიბრებამ მონაწილეთა სარეკორდო რიცხვი შეადგინა, ჩემპიონობის მთავარი ფავორიტები მაინც მსოფლიო რეკორდსმენი პოლონელი ვ. ბაშანოვსკი და საბჭოთა სპორტსმენი ვლ. კაპლუნოვი იყვნენ. საბჭოთა ძალოსანი შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია და ამ პირველობაზე იგი შეეცადა გაეუმჯობესებინა თანაგუნდელის ს. ლოპატინის მსოფლიო რეკორდი, რომელიც უფრო ადრე მოსკოვის ტრადიციულ შეჯიბრებაზე იყო დამყარებული. ცდა წარმატებით დამთავრდა. სამჭიდის ჯამში ვლ. კაპლუნოვმა 415 კილოგრამი დააგროვა და 2,5 კილოგრამით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი. იგი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობის ოქროს მედლების მფლობელი გახდა.

სურათზე: ვ. კაპლუნოვი.

1

ამ სკოლაში იზრდებიან, ოსტატდებიან რესპუბლიკის სპორტის სასახელოდ

2

3

თბილისის მეორე სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა სამუშაო დღე ყოველთვის სწორად გააზრებული განრიგით მიდის. აქ მოსწავლეები საშუალო სკოლის პროგრამის შესწავლასთან ერთად გარკვეულ დროს სპორტულ სექციებში მეცადინეობას უთმობენ. 1-ლ სურათზე აღბეჭდილია ინტერნატის მე-8 კლასის მოსწავლეები ფიზიკის გაკვეთილზე. მასწავლებელი თ. კაკაურიძე კმაყოფილია ც. ლიპარტელიანის მიერ შესრულებული დავალებით. ც. ლიპარტელიანი, გარდა იმისა, რომ კარგად სწავლობს, კარგი მძლეოსანი ც ა ა. სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები თავის სპორტულ ოსტატობას იმაღლებენ ბავშვთა ცენტრალური სპორტსკოლის სექციებში. მე-2 სურათზე თქვენ ხედავთ მწვრთნელ ბ. ტახტაროვს, რომელიც ავარჯიშებს ახალბედა მძლეოსნებს. მე-3 სურათი გადმოგვცემს ნორჩ ფეხბურთელთა ვარჯიშს მწვრთნელ ვ. პანდელოვის ხელმძღვანელობით.

მოსწავლეთა საკავშირო ფინალურ სპარტაკიადაზე ვილნიუსში წარმატებით გამოვიდნენ ქართველი ველოსიპედისტები, რომელთა შორის იყვნენ აგრეთვე ცენტრალური სპორტული სკოლის აღსაზრდელები ფ. ჩქარეული და ო. სუჯაშვილი. მე-4 სურათზე ფ. ჩქარეული (მარცხნივ) და ო. სუჯაშვილია აღბეჭდილი. სკოლა-ინტერნატისა და ცენტრალური სპორტსკოლის მოსწავლეები თავისუფალ დროს მხატვრულ თვითმოქმედებასაც ანდომებენ. მე-5 სურათზე თქვენ ხედავთ მძლეოსან გ. ჯინჭარაძეს, ფეხბურთელებს ა. სამხარაულს, მ. კობიაშვილს და დ. ვაჩეიშვილს ახალი ქართული სიმღერის შესწავლის დროს.

ამ სკოლაში მრავალი მიღწევოსანი-სპორტსმენი აღზრდილა და მრავალ მათგანს რესპუბლიკის სპორტული ღირსება არაერთხელ დაუცავს საკავშირო სარბიელზე. საქართველოს სსრ მოსწავლეთა ნაკრები გუნდების შემადგენლობაში თითქმის 80 პროცენტი ყოველთვის სკოლა-ინტერნატდამთავრებულები არიან ხოლმე.

წელს ვილნიუსის ზონალურ სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრებმა საერთო I ადგილი მოიპოვა. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით თბილისის მეორე სკოლა-ინტერნატისა და ბავშვთა ცენტრალური სპორტსკოლის აღსაზრდელებს.

ფოტო ი. იუნაევისა.


4

5

ჩვენი კალენდარი

ფიზაღზრდის თეორიის მამამთავარი

პ. ფ. ლესგაფტის დაბადების 125 წლისთავის გამო

ფიზიკური აღზრდის საბჭოური თეორიისა და მეთოდიკის ჩამოყალიბება-განვითარებაში განსაკუთრებული როლი მიუძღვის ფიზიკური აღზრდის რუსული თეორიის დამაარსებელს პეტრე ფრანტის ძე ლესგაფტს.

პ. ფ. ლესგაფტი დაიბადა 1837 წლის 21 სექტემბერს, პეტერბურგში. უმაღლესი განათლება მან სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში მიიღო და სულ მალე კარგი გულისხმიერი ექიმის სახელიც მოიხვეჭა, მაგრამ მისი საზოგადოებრივი ინტერესები ამით არ შემოიფარგლა. იგი ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაინტერესდა მეცნიერების სხვადასხვა დარგით: ჯერ ქიმიით, ანატომიით, ერთხანს მათემატიკითაც, ბიოლოგიით და ბოლოს, მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საკითხებით, რასაც მან თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი დაუთმო.

ანატომიის საფუძვლიანმა შესწავლამ ლესგაფტს საშუალება მისცა კრიტიკულად გადაეხედა კვლევის იმდროინდელი მეთოდებისათვის. მას უკვე სტუდენტობის პერიოდში აღარ აკმაყოფილებდა ორგანიზმის აგებულობის შესწავლა მხოლოდ აღწერილობითი მეთოდით და ორგანიზმის ფუნქციებისა და ფორმების ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულობის შესწავლას შეუდგა ცნობილი ექიმისა და პედაგოგის ნ. ი. პიროგოვის მეთოდზე დაყრდნობით. ამან დროთა განმავლობაში ლესგაფტს საშუალება მისცა თეორიული ფუნქციური ანატომია შეექმნა. ფუნქციური ანატომიის დაუფლებამ ლესგაფტს საშუალება მისცა მეტი ყურადღება მიექცია გავარჯიშებულობის მნიშვნელობაზე, როგორც ორგანიზმის ფუნქციებ-ს გაუმჯობესება-განვითარების საუკეთესო საშუალებაზე. ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ ლესგაფტი თანდათან მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საკითხების შესწავლაზე გადავიდა, რასაც კარგად დაუკავშირა თავისი მდიდარი ცოდნა ანატომიაში. მატერიალისტურ პოზიციებზე დაყრდნობით ლესგაფტმა შეძლო პედაგოგიური მეცნიერების ახალი დარგის — ფიზიკური აღზრდის ორიგინალური თეორიის შექმნა. მან ფიზიკური ვარჯიშების სრულიად ახალი, იმ დროისათვის გამართლებული დაჯგუფება-სისტემატიზაცია მოახდინა ანატომიურ-ფიზიოლოგიური და პედაგოგიური ამოცანების საფუძველზე.

პ. ფ. ლესგაფტი პიროვნების ჰარმონიული განვითარებისაკენ მოუწოდებდა და ამ უკანასკნელს იგი ორგანიზმის ყველა მხარის განვითარების ერთადერთ ხერხად მიიჩნევდა. მას ეკუთვნის მთელი რიგი მნიშვნელოვანი შრომები ფიზიკური აღზრდის საკითხებზე, რომელთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია „სასკოლო ასაკის ბავშვთა ფიზიკური განათლების სახელმძღვანელო“, „ანატომიის დამოკიდებულება ფიზიკური აღზრდისადმი და სკოლაში ფიზიკური განათლების მთავარი ამოცანა“, „თეორიული ანატომიის საფუძვლები“, „ოჯახური აღზრდა“ და მრავალი სხვა.

აღსანიშნავია, რომ ლესგაფტი თავის ნაყოფიერ კვლევით მუშაობას ორგანულად უკავშირებდა პრაქტიკულ მოღვაწეობას სკოლაში ფიზიკური აღზრდის სწორად დაყენების საქმეში.

მას დიდი დამსახურება აქვს ფიზიკური ვარჯიშების რაობისა და ორგანიზმზე მათი გავლენის სხვადასხვა ხასიათის სწორ გაგებაში. მის მიერ დაზუსტებული სწავლების პედაგოგიური პრინციპები, განსაკუთრებით კი მეთოდები, დღესაც არ კარგავენ თავის მნიშვნელობას. სწორედ ლესგაფტმა მიაქცია პირველად ყურადღება ფიზიკური ვარჯიშების სწავლებისას სწორად ორგანიზებული სიტყვიერი გადაცემების, ანუ ახსნა-განმარტებითი მეთოდის დიდ მნიშვნელობას.

პ. ფ. ლესგაფტმა ფიზიკური აღზრდის ორიგინალური სისტემა შექმნა, რომელიც ბავშვის ფიზიკური და გონებრივი უნარიანობის ღრმა ცოდნაზე იყო აგებული. ამ სისტემაში გამოსჭვიოდა რუსული პედაგოგიკის ხალხურობა, ჰუმანიზმი და სხვა საუკეთესო ნიშნები.

მთავარ ყურადღებას აქცევდა რა ბავშვთა ჰარმონიულ განვითარებას, ლესგაფტს იგი ესმოდა, როგორც აღზრდის ყველა ძირითადი მხარეების ორგანული შერწყმა. იგი წერდა: „განვითარება სავსებით ჰარმონიული უნდა იყოს, როგორც ფიზიკური, ისე მის შესაბამისად — გონებრივი, ესთეტიკური და ზნეობრივი“..,

ფიზიკური აღზრდის პროცესს ლესგაფტი ფიზიკურ განათლებას უწოდებდა. იმ დროისათვის ეს სავსებით გამართლებული იყო, ვინაიდან ფიზიკური აღზრდა მაშინ თითქმის მთლიანად ბიოლოგიზირებული იყო.

პ. ფ. ლესგაფტი დიდი ჰუმანისტი დემოკრატი იყო. იგი სიძულვილით იყო გამსჭვალული მეფის თვითმპყრობელობის მიმართ. ფიზიკური განათლების მასწავლებელთა მოსამზადებელ კურსებზე, რომელსაც იგი ხანგრძლივ პერიოდში ხელმძღვანელობდა, რევოლუციონერთა დიდი ჯგუფები იკრიბებოდა არალეგალურად. კურსების შენობას არაერთხელ დასხმია თავს მეფის ოხრანკა და დიდძალი აკრძალული პოლიტიკური ლიტერატურა, აგრეთვე სასტამბო შრიფტები უპოვნია.

პ. ფ. ლესგაფტის დაბადების 125 წლისთავს ფართოდ აღნიშნავს ჩვენი საზოგადოებრიობა.

დოც. ვ. ელაშვილი

ფეხბურთის მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადარჩენილი ქულა

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 19 სექტემბერი.

„დინამო“ (თბილისი)-„ტორპედო“ (მოსკოვი) — 1:1 (1:1).

„ტორპედო“: გლუხოტკო; აფანასიევი, შუსტიკოვი, ოსტროვსკი; ბატანოვი, მანოშინი; პოსუელო, ივანოვი, გუსაროვი, დენისოვი, სერგეევი.

„დინამო“: კოტრიკაძე; ბ. სიჭინავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი; ხელაძე, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, კალოევი, გ. სიჭინავა, მესხი (მელაშვილი).

მსაჯი კ. ანძიულისი (კაუნასი).

✦

თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შეხვედრები სსრ კავშირის ჩემპიონატების ისტორიაში დიდი ხანია გასცდა მხოლოდ ამ ორი გუნდის კერძო დაინტერესებას სატურნირო მდგომარეობით და ქულებით. ამ კატეგორიის მატჩები, როგორც წესი, დიდი ფეხბურთის საგანძურში შედის და მთავარ როლს თამაშობს ჩვენი ფეხბურთის საერთო პროგრესში.

კარგ ფეხბურთს კარგი შემსრულებლები ქმნიან, ხოლო გუშინ ორივე გუნდის შემადგენლობაში თამაშობდა უმაღლესი კლასის ფეხბურთელთა მთელი პლეადა, ჩვენი ქვეყნის ნაკრების 7 წევრი, რომლებსაც თავიანთი კოლექტივებისათვის ქულების მოტანის გარდა მაყურებლებისათვის უნდა ეჩვენებინათ თამაში, რომელიც წელთა განმავლობაში არ ამოდის მეხსიერებიდან.

დასაწყისი ასეთიც იყო. დაზვერვაზე არც ერთ მოწინააღმდეგეს არ უფიქრია. ყოველ შემთხვევაში, თბილისელებმა აიღეს ტემპი და გაშალეს შეტევა, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა მოსინჯვასა და დაზვერვასთან. დროის აღმრიცხველ ტაბლოზე ჯერ მხოლოდ პირველი წუთის ნათურა ენთო, როცა ტორპედოელთა კართან პირველი გრიგალი გადაიტანეს მცველებმა და მეკარემ. მესხის ორ გარღვევას მარცხნიდან, მოყვა გ. სიჭინავას იერიში საპირდაპირო მხარეს. ცენტრში რამდენიმეჯერ შესანიშნავად ითამაშეს კალოევმა და ბარქაიამ და „დინამოს“ ყოველი ასეთი შტურმის შემდეგ ზედ სტუმრების კარის წინ იწვა 4-5 მცველი, რომლებიც ძლივს აზერხებდნენ თავიანთ უკანასკნელი საზღვრის ხსნას თითქოს გარდუვალი გოლისაგან.

15 წუთის განმავლობაში დინამოელთა თავდასხმამ ყველაფერი გააკეთა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, აბსოლუტური უპირატესობით ჩაატარა დროის ეს საკმაოდ მოზრდილი მონაკვეთი, მაგრამ ყოველი იერიშის შემდეგ „ხელცარიელი“ ბრუნდებოდა უკან, აქ კი, შუა მიწდორზე სულ უფრო და უფრო აქტიურად მოქმედებდნენ ივანოვი, გუსაროვი, მანოშინი, ბატანოვი. განსაკუთრებით ძლიერად თამაშობდა ივანოვი. „დინამოს“ ნახევარდაცვას არ ჰქონდა გარკვეული ხაზი შექმნილი თავის ზონაში, ივანოვი დარჩენილი იყო პერსონალური დარაჯის გარეშე, ასეთ ვითარებაში კი ტორპედოელთა კაპიტანი თავს შესანიშნავად გრძნობს.

მეტად დამახასიათებელია ივანოვისათვის თბილისელთა კარში გატანილი პირველი გოლი. დინამოელთა საჯარიმო მოედანზე დაინიშნა თავისუფალი დარტყმა. ივანოვი კარგახანს არ ასრულებდა დარტყმას და უცდიდა თუნდაც მცირეოდენ შეცდომას მოპირდაპირე დაცვაში. ეს იყო ფსიქიკური ბრძოლა. ბოლოსდაბოლოს მასპინძელთა დაცვაში წამით დაირღვა საჭირო განლაგება და სწორედ ამ მომენტში გადასცა ივანოვმა ბურთი მარცხნივ. პოსუელომ ძლიერად დაარტყა კარში, კოტრიკაძემ ვერ შეაჩერა აღებული ბურთი და გაუშვა იგი — 1:0.

ეს გოლი მალე იქნა გაქვითული. 27-ე წუთზე ბარქაიას გადაცემის შემდეგ კალოევი მეკარესთან რამდენიმე ნაბიჯზე დარჩა პირისპირ და სწორედ ბურთის გატანის წინ იგი მოცელეს მცველებმა. იამანიძემ ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი დარტყმა — 1:1, მაგრამ ამ დროისათვის „დინამოს“ აღარ ჰქონდა ის დიდი უპირატესობა, თამაშის ის მთლიანობა, რომელიც მას მატჩის დასაწყისში გააჩნდა.

პირველი ბზარი გუნდს დაემჩნა გადაცემათა სიზუსტის დარღვევაში, პირველ ბურთს სულ უფრო ხშირად ეუფლებოდნენ ტორპედოელები, მინდვრის შუაგული თეთრმაისურიანების სრული კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა და თამაშის მთელი სიმძიმე დინამოელთა ნახევარს დააწვა. აქ განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა დაცვის ცენტრალური მოთამაშის, ხურცილავას არყოფნა, ხოლო როცა მესხმა ტრავმა მიიღო და გავიდა თამაშიდან, მისი დანაკლისი მძიმედ დაეტყო წინა ხაზს. მელაშვილმა ამ დანაკლისის ნაწილობრივი კომპენსაციაც ვერ შეძლო, სრულიად გამოეთიშა ბრძოლას ბარქაია, ხშირად ირღვეოდა ურთიერთმოქმედება დაცვაში და ამის შედეგად „ტორპედოს“ სრული საშუალება მიეცა თავდასხმაში გადაეყვანა ბატანოვიც. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მომენტს ტორპედოელთა კართან (მესხი ზედიზედ ორჯერ დარჩა ხელსაყრელ მდგომარეობაში, მაგრამ ორივეჯერ მიუტევებლად ააცილა მიზანს), მატჩის ბოლო ნაწილი ძირითადად თბილისელთა მხარეს მიმდინარეობდა.

დინამოელები წაგების აშკარა საფრთხის წინაშე იმყოფებოდნენ, მაგრამ დაცვისა და მეკარის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ საბოლოოდ გაუძლეს ამ ძლიერ იერიშებს და შეინარჩუნეს ფრე — 1:1. „ოქროს“ ქულა გადარჩენილ იქნა.

ხ. ციციშვილი

ორი პენალტი

✦

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 19 სექტემბერი.

„ტორპედო“ (ქუთაისი)-„დინამო“ (ლენინგრადი) — 2:1 (1:1).

„დინამო“: ბელკინი; ბერეტურინი, შიშკოვი, ტიხომიროვი; ა. მოროზოვი, ლისტრატოვი; კორობნიოვი, ფროლოვი (პეტროვი), ა. მოროზოვი, ვარლამოვი, აქსიონოვი.

„ტორპედო“: ურუშაძე; ლოსაბერიძე, თორაძე, ცხოვრებოვი; სარჯველაძე, ნიშნიანიძე; სირაძე (ჟორდანია), მიროშნიკოვი, ხაჟალია, ჩხარტიშვილი, ზარდანია.

მსაჯი ხ. არხიპოვი (მოსკოვი).

✦

როგორც ტაშკენტის „პახტაკორთან“, აქაც პირველ ტაიმში ქუთაისელებმა აირჩიეს ნაცადი ვარიანტი—4+2+4. ცენტრალური თავდამსხმელი ა. მოროზოვი უნდა დაეჭირა სარჯველაძეს, ხოლო თორაძეს დახმარება გაეწია ფლანგებისათვის. თავდამსხმელებს დავალება მიეცათ ხშირად ეცვალათ ადგილები და შორი მანძილიდან ეწარმოებინათ დარტყმები მეტოქის კარში. ასეთი იყო ქუთაისელთა თამაშის გეგმა გუშინ, ლენინგრადის „დინამოსთან“ მატჩში.

პირველ ტაიმში ქუთაისელები ძლიერი ქარის წინააღმდეგ თამაშობდნენ, მათ ჯერ მოსინჯეს ლენინგრადელთა კარის მისადგომები და გადავიდნენ იერიშზე. მე-12 წუთზე მარჯვენა მხრიდან დინამოელთა საჯარიმო მოედანზე შეიჭრა სირაძე, რომლის დარტყმული ბურთი მცირე მანძილით აცდა კარს. ამის შემდეგ ქუთაისელებს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ არაზუსტი დარტყმების შედეგად ანგარიში არ გახსნილა. მე-17 წუთზე სტუმრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა ა. მოროზოვმა პარტნიორების მიერ გათამაშებული კომბინაცია დააგვირგვინა გოლით — 1:0.

წაგება იგრძნეს ქუთაისელებმა და მთელი ენერგიის მოკრეფით შეუტიეს მოწინააღმდეგეს. შეტევა იმდენად მწვავე იყო, რომ სტუმრები იძულებული გახდნენ ლისტრატოვი (№6) დაეწიათ უკან დაცვის გასაძლიერებლად. ამის მიუხედავად ქუთაისელებმა 31-ე წუთზე მაინც შეძლეს დაცვის გარღვევა. კვლავ სირაძე შეიჭრა მარჯვენა მხრიდან, გვერდი აუარა ტიხომიროვს და ის იყო კარში უნდა დაერტყა, რომ მას უხეშად მოექცნენ და მსაჯმა დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო. ხაჟალიას მიერ დარტყმული ჯარიმა მეკარემ მოიგერია, მაგრამ ისევ ხაჟალიამ მიუსწრო ბურთს და გამოასწორა მდგომარეობა — გაათანაბრა ანგარიში.

მეორე ტაიმში ქუთაისელებმა ტაქტიკა შეცვალეს. მოედანზე გამოვიდა ჟორდანია, სარჯველაძე მარჯვენა ფრთაზე გადავიდა. თამაშის ამ ნახევარში მრავალი ამაღელვებელი მომენტი შეიქმნა, მათ შორის აღსანიშნავია ის, რომ მე-3 წუთზე მიროშნიკოვმა გარღვევაზე გაიყვანა ხაჟალია, მაგრამ ძლიერად დარტყმული ბურთი ოდნავ აცდა დინამოელთა კარს. მე-19 წუთზე ქუთაისელებმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს — ჩხარტიშვილი-ხაჟალია-მიროშნიკოვი. ამ უკანასკნელმა მართალია კარგად დაარტყა, მაგრამ ისიც აცდა კარს. 33-ე წუთზე ა. მოროზოვი სახიფათოდ შეიჭრა ქუთაისელთა მოედანზე და ურუშაძემ აკრობატული ნახტომით მოიგერია ბურთი, მე-40 წუთზე უმეთვალყუროდ დატოვებულმა პეტროვმა გადმოინაცვლა მარცხნივ და ურუშაძის პირისპირ გავიდა, მაგრამ ისევ მეკარემ იხსნა კარი.

43-ე წუთზე ზარდანიას მიერ კარში დარტყმული ბურთი ხელით მოიგერია არა მეკარემ, არამედ დამცველმა შიშკოვმა და ისევ პენალტი! ახლა ჟორდანია მივიდა ბურთთან და აუჩქარებლად დაარტყა. 2:1 ქუთაისელთა სასარგებლოდ.

ასე დამთავრდა ქუთაისის „ტორპედოსათვის“ ეს მეტად მნიშვნელოვანი მატჩი.

ლ. ფაჩუაშვილი

• • •

ამავე გუნდების დუბლიორთა მატჩი დამთავრდა „ტორპედოს“ გამარჯვებით — 4:2.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 20 სექტემბრისათვის

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	20	14	5	1	44—20	33
ცსკა	19	10	7	2	28—9	27
„შახტიორი“ (დონეცკი)	19	10	4	5	34—22	24
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	19	8	5	6	33—22	21
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	18	7	5	6	25—22	19
სკა (როსტოვი)	19	5	8	6	31—27	18
„კაირატი“ (ალმა-ატა)	19	5	8	6	18—21	18
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	19	5	5	9	20—29	15
„დაუგავა“ (რიგა)	19	4	3	12	15—30	11
„სპარტაკი“ (ერევანი)	19	4	3	12	16—35	11
„ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	18	1	9	8	12—39	11

II ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (თბილისი)	20	10	7	3	31—17	27
„დინამო“ (მოსკოვი)	19	9	6	4	27—17	24
„ტორპედო“ (მოსკოვი)	19	9	5	5	40—22	23
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	19	10	3	6	37—21	23
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	20	7	7	6	26—24	21
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	19	7	7	5	21—21	21
„ავანგარდი“ (ხარკოვი)	20	7	3	10	16—26	17
„ბელარუსი“ (მინსკი)	19	6	4	9	19—22	16
„ტორპედო“ (ქუთაისი)	19	5	5	9	21—35	15
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	20	5	4	11	22—31	14
„დინამო“ (ლენინგრადი)	20	4	5	11	14—38	13

★ ★

„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-„სპარტაკი“ (ერევანი) — 3:2
„ზენიტი“ (ლენინგრადი)-„დაუგავა“ (რიგა) — 3:1
„კაირატი“ (ალმა-ატა)-„შახტიორი“ (დონეცკი) — 2:1
„სპარტაკი“ (მოსკოვი)-„დინამო“ (მოსკოვი) — 1:0
„ავანგარდი“ (ხარკოვი)-„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — 1:0
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)-„ბელარუსი“ (მინსკი) — 2:1

ნაკრებთა დონეზე

სამი საინტერესო მატჩი შედგა 16 სექტემბერს ევროპის სტადიონებზე.

ვენის მცხოვრებლებმა იხილეს ჩილის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელების ჩეხოსლოვაკიისა და ავსტრიის ნაკრები გუნდების შეჯიბრება. სტუმრები თამაშობდნენ იგივე შემადგენლობით, როგორითაც ისინი გამოდიოდნენ ჩილში. ჩეხებმა აჩვენეს შემტევი ფეხბურთი და გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 6:0.

ლაიპციგში თამაშობდნენ იუგოსლავიისა და გდრ-ს ნაკრები გუნდები. საინტერესო ბრძოლა ფრედ დამთავრდა — 2:2.

გულშემატკივართა იმედები გაამართლა ნორვეგიის ნაკრებმა, რომელმაც თავის მოედანზე მოუგო შვეციის ნაკრებს — 2:1.

ფეხბურთის მიმოხილვა

სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების საკავშირო საბჭოში

საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადისათვის მზადებასთან დაკავშირებით სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების საკავშირო საბჭომ მხედველობაში მიიღო, რომ საჭიროა ფიზკულტურული ორგანიზაციების საბჭოების ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების ჩატარების გადადება და გადაწყვიტა ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოთა ანგარიშგება-არჩევნები მოეწყოს 1963 წლის ოქტომბერ-დეკემბერში.

ისევ როჟაველდი

შესანიშნავი უნგრელი სპორტსმენი, საშუალო და გრძელ მანძილებზე მორბენალი ი. როჟაველდი მთელი წელია არ გამოსულა შეჯიბრებებზე. ეს შემთხვევითი არაა: მას ეწვია სპორტული სიბერე. უკანასკნელი შეჯიბრება მისთვის დრამატულად წარიმართა.

გასული წლის სექტემბერში უნგრეთის ჩემპიონატზე როჟაველდიმ 5-კილომეტრიან დისტანციაზე რბენა მიატოვა მაშინ, როცა ფინიშამდე ორი წრე იყო დარჩენილი და გამარჯვებაც თითქმის გარანტირებული ჰქონდა. როჟაველდი ამ მარცხის შემდეგ გასახდელში დიდხანს იჯდა დაფიქრებული, ბოლოს გამოტყდა:

— ძალები ჯერ კიდევ მყოფნის, მაგრამ მღალატობს ნერვები, არ მასვენებს ფიქრი, რომ მალე გადავიქცევი მეორე რანგის მძლეოსნად. ამიტომაც ვფიქრობ ხელი ავილო აქტიურ სპორტზე...

ასეც მოხდა. 6 მსოფლიო რეკორდის ავტორმა, გამხდარმა ოფიცერმა, რომელსაც მეგობრებმა ხუმრობით „პერგამენტი“ შეარქვეს, სპორტსმენმა, რომელმაც თავისი ქვეყნის ნაკრებში 18 წელი გაატარა, მძლეოსნური ფეხსაცმელები იმ კარადაში მოათავსა, სადაც გამოფენილია მისი სპორტული ბრძოლების ნადავლი — თასები, მედლები, დიპლომები.

მართალია, მას მთლიანად არ აუღია ხელი წვრთნაზე, მაგრამ ახლა ყოველ დილით ჩვეულებრივი 30-35 კილომეტრის ნაცვლად მხოლოდ 5 კილომეტრის გარბენით კმაყოფილდებოდა. ამას სახელოვანი მძლეოსანი ასე ხსნის: „რბენა ჩემთვის სიცოცხლეა. შეჯიბრებებში არ გამოვდივარ, მაგრამ ვარჯიშზე უარის თქმა არ შემიძლია“.

მძლეოსნობის მოყვარულებმა გადაწყვიტეს, რომ ახლა როჟაველდის ნახვა შეიძლება მხოლოდ გულშემატკივართა შორის ან მწვრთნელის როლში, მან ხომ მწვრთნელთა კურსები დაამთავრა და სპორტკლუბ „ჰონვედში“ ამეცადინებს ბავშვთა სექციას.

მაგრამ ზამთარში მოხდა ყველასათვის მოულოდნელი რამ. უნგრელმა მძლეოსანმა ერთბაშად მოუმატა წვრთნას. დარბოდა ტყეების თოვლიან ბილიკებზე, ახალგაზრდა სტაიერ ი. მაჩართან ერთად ენერგიულად „კეცავდა“ კილომეტრებს, მისი რბენის ტექნიკა კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მიგვეკუთვნებინა ასპარეზობიდან წასული ადამიანისათვის.

ამას წინათ უნგრეთის მძლეოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა სენსაციური განცხადება: „იშტვან როჟაველდი კვლავ მიწვეულია ქვეყნის ნაკრებში“.

— კარგად ვიცნობთ მას, — ამბობენ ფედერაციის ხელმძღვანელები, — როჟაველდის შეუძლია კვლავ გააკვირვოს ყველა. ერთწლიანი შესვენების შემდეგ იშტვანი თითქოს გაახალგაზრდავდა და ორმაგი ენერგიით ისწრაფვის მოიპოვოს უფრო მეტი წარმატებანი, ვიდრე ოდესმე ჰქონია.

ი. ბეჩი,
უნგრელი ჟურნალისტი.

საზღვარგარეთის ამბები

ტანვარჯიში ფუფუნებაა

ტანვარჯიში ესლინგის სკოლაში ფუფუნებაა, — წერს ავსტრიული გაზეთი „ფოლკსშტიმე“. გაზეთი აღწერს, რომ ესლინგის სკოლის მოსწავლეებს არა აქვთ საშუალება იმეცადინონ ფიზკულტურასა და სპორტში, რადგან არ გააჩნიათ სპორტული დარბაზი. სკოლას ადრე ჰქონდა მოზრდილი ეზო, მაგრამ იგი გამოყენებულ იქნა ახალი შენობის ასაგებად. სკოლას 65 წლის ისტორია აქვს, მას ხშირად აფართოებდნენ, უმატებდნენ სასწავლო ოთახებს, მაგრამ არავის უფიქრია სპორტული დარბაზის აშენებისათვის.

„ესლინგი გამონაკლისი არაა. ჩვენს ახალგაზრდობას არა აქვს საშუალება ფიზიკურად გამოიწრთოს“, — წერს გაზეთი. პედაგოგთა კონფერენციაზე, რომელიც ფელკირხში ჩატარდა, აღნიშნული იყო, რომ ავსტრიაში 1.854 სკოლას არა აქვს არც სპორტული დარბაზი, არც მოედანი.

„ფორესტ-ჰილსის“ ჩემპიონები—ავსტრალიელები

„ფორესტ-ჰილსის“ კორტებზე დამთავრდა აშშ-ს ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის ჩემპიონობა მოიპოვეს ავსტრალიელებმა. ვაჟთა შორის ეს დიდი გამარჯვება მოიპოვა რ. ლევერმა. აღსანიშნავია, რომ წელს ლეივერმა 4 დიდი გამარჯვება მოიპოვა. მან გაიმარჯვა ავსტრალიისა და საფრანგეთის ღია ჩემპიონატებზე, შემდეგ ინგლისში უიმბლდონის ტურნირზე [illegible]. ამგვარად, იგი წელს მსოფლიოს ყველა დიდი ტურნირის გამარჯვებულია. ანალოგიური წარმატება ჰქონდა 1938 წელს ამერიკელ ჩოგბურთელს დ. ბაჯს. ექვსი წლის წინ ასეთ გამარჯვებასთან ახლოს იყო ლეივერის თანამემამულე ლ. ჰოადი, რომელმაც მოიგო 3 ტურნირი და წააგო მხოლოდ მეოთხე.

ქალთა შორის „ფორესტ-ჰილსის“ გამარჯვებულია მ. სმიტი, რომელმაც ფინალში დაამარცხა შარშანდელი ჩემპიონი ამერიკელი დ. ჰარდი — 9:7, 6:4.

ფიბერგლასი იძენს მოქალაქეობრივ უფლებას

ბელგრადში მ. აბრაჰამის (დიდი ბრიტანეთი) თავმჯდომარეობით გაიმართა მძლეოსნობის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკური კომისიის სხდომა. სპეციალისტების მსჯელობის ძირითად პრობლემას წარმოადგენდა ფიბერგლასის ჭოკი, ის ჭოკი, რომლითაც ამჟამად სარგებლობენ ევროპისა და ამერიკის უძლიერესი სპორტსმენები, ის ჭოკი, რომლითაც ფინელმა პ. ნიკულამ მიაღწია ფენომენალურ შედეგს — 4.94 მ. კომიტეტმა აღიარა, რომ ამ ახალი ინვენტარის გამოყენება არ ეწინააღმდეგება შეჯიბრების წესებს მძლეოსნობის ამ სახეობაში და მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციაში შევიდა წინადადებით, ფიბერგლასი აღიარებულ იქნას „მოქალაქეობრივ უფლებებში“.

კომიტეტმა იააფ-ის წინაშე იშუამდგომლა, აგრეთვე იმ საკითხზე, რომ 1964 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილეთ ნება დაერთოს გამოიყენონ ნებისმიერი ტიპის შუბები, ოღონდ ისინი უნდა შეესაბამებოდნენ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ დადგენილ ნორმებს, ამასთან ყოველმა იარაღმა, რომელიც გამოყენებულ იქნება ტოკიოში, უნდა გაიაროს წინასწარი შემოწმება ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტში არაუგვიანეს 1963 წლის მარტისა.

ტექნიკური კომიტეტი იააფ-ს რეკომენდაციას აძლევს აგრეთვე იმაზე, რომ შემდეგში მსოფლიო რეკორდად არ იქნას დამტკიცებული ის მაჩვენებლები ხტომებსა და ტყორცნებში, რომლებიც გაზომილ იქნება ფუტებსა და დიუმებში.

ყოველი სპორტსმენი ნებისმიერ შეჯიბრებაზე ცდილობს აჩვენოს რაც შეიძლება მაღალი შედეგი. ამაშია სპორტის არსი, მისი განვითარების დინამიკა, მაგრამ ხშირად ხდება, როცა წმინდა სპორტული მისწრაფება სცილდება სპორტის ჩარჩოებს და საჭირო ხდება წესების მთლიანი ან ნაწილობრივი შეცვლა, ახალ გადაწყვეტილებათა მიღება. ასე იყო, მაგალითად მაშინ, როცა აკრძალეს სიმაღლეზე მხტომელების მიერ სქელ ლანჩიანი ფეხსაცმელების გამოყენება. ახლა, რომის ოლიმპიური თამაშების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ახალი პრობლემა — ფიბერგლასის ჭოკი.

ჭოკით ხტომაში, მისი მძლეოსნობის პროგრამაში შეტანიდან დღემდე, იცვლებოდნენ არა მარტო სპორტსმენთა თაობანი, არამედ ინვენტარის სახეობანიც. პირველად იყენებდნენ ხის, შემდეგ ბამბუკის, მერე ლითონის ჭოკებს, ახლა კი ფიბერგლასიც გამოჩნდა.

ყოველთვის, ჭოკის ახალი სახეობის შემოღებას ფასს დებდა უფრო მაღალი შედეგების მოპოვება, თუმცა იგი ერთბაშად არ მოდიოდა, ამისათვის საჭირო იყო წლების განმავლობაში ამ ინვენტარის და მისი დახმარებით ახალი ტექნიკის ათვისება. ფიბერგლასმა კი ერთბაშად მოახდინა გადატრიალება, საგრძნობლად ამაღლდა სპორტსმენთა მაჩვენებლები, ალბათ ამიტომაც გამოუჩნდა მას მოწინააღმდეგენი. „კონსერვატორები“ პირველყოვლისა, აშშ-დან, სწორედ ფიბერგლასის სამშობლოდან, მოგვევლინენ. ესენი არიან ლითონის ჭოკით ხტომის ფავორიტები დ. ბრეგი და რ. რიჩარდსი.

რა უპირატესობა აქვს ახალ ჭოკს? ამ ინვენტარით ხტომის ტექნიკა განსხვავდება ლითონის ჭოკით ხტომის ტექნიკისაგან. ბრეგის, რიჩარდსისა და რ. მორრის მიერ დამუშავებული ტექნიკა, რამაც მათ არა ერთი გამარჯვება მოუტანა საერთაშორისო სარბიელზე, ფიბერგლასის ეპოქაში აღარაა საჭირო. ახლა ხტომის ტექნიკა დაუბრუნდა ბამბუკის ეპოქას, მაგრამ სხვაობა იმაშია, რომ ფიბერგლასს უკუტყორცნის მეტი უნარი აქვს. ახლა ტექნიკური სიძნელე ამ უკუტყორცნის სწორ და საჭირო მიმართულებით გამოყენებაში მდგომარეობს.

ამერიკელმა ჯ. იულსისმა აითვისა რა ეს წესი, მიაღწია მანამდე ფენომენალურ შედეგს — 4.89,5 მ. შემდეგ მის კვალს გაჰყვა ფინელი პ. ნიკულა, რომელმაც უკან ჩამოიტოვა ამერიკელიც. სამწუხაროდ, ფიბერგლასის ჭოკი ყველას როდი აქვს, დიდ შეჯიბრებებზე სპორტსმენთა უმეტესობას ძველი (ლითონის) ინვენტარით უხდებოდა გამოსვლა, რაც შეჯიბრების ობიექტურობას არღვევდა. ფიბერგლასი მონაწილეთ დიდ ფორას აძლევდა. ამას კი მოჰყვა პროტესტები, წამოიჭრა საკითხი მისი აკრძალვის შესახებ.

ყველა ამის გამო იყო ალბათ, რომ მძლეოსნობაში ევროპის პირველობის გახსნის წინ იააფ-ის ტექნიკური კომისიის მსჯელობის ერთ-ერთ საკითხს სწორედ ეს ჭოკი წარმოადგენდა. კომისიის წევრები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ჭოკის ეს ახალი სახეობა არ ეწინააღმდეგება შეჯიბრების წესებს.

• • •



სურათზე: პ. ნიკულა ხტომის დროს.

რედაქტორი ი. უგულავა.

24-29
სექტემბერი
რუსთავის სპორტდარბაზში
საქართველოს
პირველობა
ფარიკაობაში

დასაწყისი 9 საათზე.

23-27
სექტემბერი
იპოდრომი
საქართველოს
პირად-გუნდური
პირველობა
ცხენოსნობაში

დასაწყისი 12 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-36-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.   უე 00651